

შპს ემსა ჯორჯია ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები	11
5. სავაჭრო მოთხოვნები	11
6. გადახდილი ავანსები.....	12
7. მარაგები	12
8. ძირითადი საშუალებები.....	12
9. სავაჭრო ვალდებულებები	14
10. მიღებული ავანსები	14
11. გრძელვადიანი სესხები	14
12. საწესდებო კაპიტალი.....	15
13. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	15
14. ხელფასები და სხვა სარგებელი	15
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	16
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	16
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22	31-12-21
ფული და ფულის ექვივალენტები	4	572	36,624	8,607
სავაჭრო მოთხოვნები	5	-	154,860	293,129
გადახდილი ავანსები	6	28,748	94,463	8,723
მარაგები	7	-	836,832	690,848
გაცემული სესხები		195,000	185,000	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		224,320	1,307,779	1,001,307
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	-	381,194	347,380
სულ გრძელვადიანი აქტივები		-	381,194	347,380
სულ აქტივები		224,320	1,688,973	1,348,687
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	589,503	1,914,471	1,468,926
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		202,732	55,386	5,327
საგადასახადო ვალდებულებები		68,904	43,400	14,528
მიღებული ავანსები	10	327,799	319,855	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,188,938	2,333,112	1,488,781
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	11	1,390,258	1,374,711	1,519,029
სხვა გრძელვადიანი სესხები	11	1,134,350	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,524,608	1,374,711	1,519,029
სულ ვალდებულებები		3,713,546	3,707,823	3,007,810
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	454,853	467,544	437,544
დაგროვილი ზარალი		(3,944,079)	(2,486,394)	(2,096,667)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,489,226)	(2,018,850)	(1,659,123)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		224,320	1,688,973	1,348,687

აღმასრულებელი დირექტორი



გუნგორ გორქემ აიდინ

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	2,003,080	3,206,458
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(1,448,285)	(1,739,438)
საერთო მოგება		554,795	1,467,020
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(799,989)	(701,101)
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	8	(118,061)	(101,292)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,157,333)	(1,503,586)
სხვა შემოსავლები		-	262
სხვა ხარჯები		(37,845)	-
საოპერაციო ზარალი		(1,558,433)	(838,697)
მოგება საკურსო სხვაობიდან		103,472	485,549
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(2,372)	(36,558)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,457,333)	(389,706)
მოგების გადასახადი		(352)	(21)
წმინდა ზარალი		(1,457,685)	(389,727)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	437,544	(2,096,667)	(1,659,123)
კაპიტალის გაზრდა	30,000	-	30,000
წმინდა ზარალი	-	(389,727)	(389,727)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	467,544	(2,486,394)	(2,018,850)
კაპიტალის შემცირება	(12,691)	-	(12,691)
წმინდა ზარალი	-	(1,457,685)	(1,457,685)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	454,853	(3,944,079)	(3,489,226)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემსა ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 26 აპრილს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფანჯიკიძის (ყოფილი ზუდაშვილი) ქ., N 23. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405203998. კომპანიის 100%-ის მფლობელია ემრაჰ უზარ (15673411558, U 13085493 /თურქეთი).

შპს ემსა ჯორჯია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს ბრენდული სახელით „MADAME COCO“. კომპანია წარმოადგენს პარიზულ სტილზე დაფუძნებულ მაღაზიათა ქსელს. მისი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს ისეთ კატეგორიებს როგორიცაა: სახლის ტექსტილი და აქსესუარები, მინის/ბროლისა და პლასტმასის ჭურჭელი, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმი. კომპანიის პროდუქციას შეძენა შესაძლებელია თბილისში მდებარე 4 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე მაღაზიებში.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გუნგორ გორქემ აიდინ (U23190903, 25657225508 /თურქეთი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფული და ფულის ექვივალენტები	4	35,241	8,538	27,575
სავაჭრო მოთხოვნები	5	192,461	336,236	49,716
გადახდილი ავანსები		76,137	11,758	8,483
მარაგები	6	855,472	690,845	577,390
სხვა მოკლევადიანი აქტივები		186,153	1,211	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,345,464	1,048,588	663,164
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	381,119	347,376	128,314
სულ გრძელვადიანი აქტივები		381,119	347,376	128,314
სულ აქტივები		1,726,583	1,395,964	791,478
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	1,919,662	1,472,825	1,739,736
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		56,833	6,773	12,960
საგადასახდო ვალდებულებები		19,385	16,151	8,711
მიღებული ავანსები		319,908	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-	-	496,500
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,315,788	1,495,749	2,257,907
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მესაკუთრებისგან ნასესხები თანხები	9	969,411	1,054,389	245,116
სხვა გრძელვადიანი სესხები	9	405,300	464,640	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,374,711	1,519,029	245,116
სულ ვალდებულებები		3,690,499	3,014,778	2,503,023
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	467,544	437,544	44,434
დაგროვილი ზარალი		(2,431,460)	(2,056,358)	(1,755,979)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,963,916)	(1,618,814)	(1,711,545)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,726,583	1,395,964	791,478

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

		2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	3,206,458	2,517,831
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(1,710,725)	(1,432,392)
საერთო მოგება		1,495,733	1,085,439
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	11,825
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(701,104)	(458,433)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(101,364)	(69,510)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,539,313)	(1,200,465)
საოპერაციო ზარალი		(846,048)	(631,144)
მოგება საკურსო სხვაობიდან		480,100	367,624
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(9,154)	(36,859)
ზარალი დაბეგვრამდე		(375,102)	(300,379)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(375,102)	(300,379)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	44,434	(1,755,979)	(1,711,545)
კაპიტალის გაზრდა	393,110	-	393,110
წმინდა ზარალი	-	(300,379)	(300,379)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	437,544	(2,056,358)	(1,618,814)
კაპიტალის გაზრდა	30,000	-	30,000
წმინდა ზარალი	-	(375,102)	(375,102)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	467,544	(2,431,460)	(1,963,916)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შემენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

3.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	572	36,489
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	-	135
სულ	572	36,624

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიყიდა პროდუქცია და რომელთაგანაც პროდუქციის თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2023 წლის ბოლოსთვის კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა, შესაბამისად 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნდა დებიტორული დავალიანება ხოლო 2022 წლის 31

შპს ემსა ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საცალო მყიდველებისა და იურიდიული პირების მიმართ მოცემულია ქვემოთ:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-23	31-12-22
მოთხოვნები საცალო მყიდველების მიმართ	-	35,596
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	-	119,264
სულ	-	154,860

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება ისეთი თანხებისგან, რომლებიც საწარმომ გადაიხადა და სანაცვლოდ არ განხორციელებულა საქონლის ან მომსახურების მოწოდება 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების ნაშთები რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების მიმართ მოცემულია ქვემოთ:

გადახდილი ავანსები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი ავანსები	14,579	80,293
არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი ავანსები	14,169	14,170
სულ	28,748	94,463

7. მარაგები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მარაგები აღარ უფიქსირდება რადგან შეწყვიტა საქმიანობა და სრულად მოახდინა სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაცია. 2022 წელს მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს რეალიზაციისთვის განკუთვნილი მზა პროდუქცია. პროდუქციის შესყიდვა ხორციელდებოდა უმეტესწილად იმპორტის გზით, თუმცა მარაგების ნაწილი შესყიდულია საქართველოში.

8. ძირითადი საშუალებები

2023 წლის ბოლოსთვის კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა და მოახდინა ძირითადი საშუალებების რეალიზაცია. 2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

შპს ემსა ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	197,591	202,724	5,133	-
მანქანა-დანადგარები	102,591	102,591	-	-
ოფისის აღჭურვილობა	64,528	68,085	3,557	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	176,752	178,184	1,432	-
სატრანსპორტო საშუალებები	73,283	73,283	-	-
სულ	614,745	624,867	10,122	-

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	44,478	84,994	40,516	-
მანქანა-დანადგარები	34,009	54,527	20,518	-
ოფისის აღჭურვილობა	47,470	57,000	9,530	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	79,076	119,245	40,169	-
სატრანსპორტო საშუალებები	28,518	35,846	7,328	-
სულ	233,551	351,612	118,061	-

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	123,207	74,384	197,591
მანქანა-დანადგარები	102,591	-	102,591
ოფისის აღჭურვილობა	58,820	5,708	64,528
ავეჯი და სხვა ინვენტარი	121,738	55,014	176,752
სატრანსპორტო საშუალებები	73,283	-	73,283
სულ	479,639	135,106	614,745

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	16,712	27,766	44,478
მანქანა-დანადგარები	13,491	20,518	34,009

შპს ემსა ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარი)

ოფისის აღჭურვილობა	35,735	11,735	47,470
ავეჯი და სხვა ინვენტარი	45,131	33,945	79,076
სატრანსპორტო საშუალებები	21,190	7,328	28,518
სულ	132,259	101,292	233,551

9. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი მომწოდებლები	260,276	422,685
არარეზიდენტი მომწოდებლები	329,227	1,490,471
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	-	1,315
სულ	589,503	1,914,471

10. მიღებული ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსების ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

მიღებული ავანსები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი მყიდველები	7,944	-
არარეზიდენტი მყიდველები	319,855	319,855
სულ	327,799	319,855

11. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აქვს აღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სესხები	31-12-23	31-12-22
მესაკუთრე	1,390,258	1,374,711
სხვა დაკავშირებული მხარე	1,134,350	-
სულ	2,524,608	1,374,711

12. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს დამფუძნებელმა კაპიტალი შეამცირა 12,691 ლარით, ხოლო 2022 წელს შეიტანა ჯამში 30,000 ლარი.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე თეთრეულის, ჭურჭლის და სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციის რეალიზაცია. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისში მდებარე 4 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე მაღაზიებში.

კომპანია პროდუქციას ყიდულობს უმეტესწილად იმპორტის გზით, თუმცა მარაგების ნაწილი შესყიდულია საქართველოში. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი, საიდანაც:	2,003,080	3,206,458
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,105,692	3,206,458
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(102,612)	-
თვითღირებულება:	(1,448,285)	(1,739,438)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,448,285)	(1,739,438)
საერთო მოგება	554,795	1,467,020

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-23	31-12-22
სახელფასო ხარჯი	760,479	674,728
საპენსიო და სხვა სარგებელი	39,510	26,373
სულ	799,989	701,101

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალური, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
იჯარის ხარჯი	867,802	1,063,160
მარკეტინგის ხარჯი	90,546	206,702
კომუნალური მომსახურების ხარჯი	54,573	64,120
საბუღალტრო და საკონსულტაციო ხარჯი	32,400	45,505
საბანკო ხარჯი	23,606	34,240
ოფისის და საკანცელარიო ხარჯი	11,787	16,130
დაზღვევის ხარჯი	10,656	6,494
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	8,063	6,000
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	4,082	6,231
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	53,818	55,004
სულ	1,157,333	1,503,586

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 სესხები

კომპანიას აქვს აღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

შპს ემსა ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

სესხები	31-12-23	31-12-22
მესაკუთრე	1,390,258	1,374,711
სხვა დაკავშირებული მხარე	1,134,350	-
სულ	2,524,608	1,374,711

16.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 324,845 ლარი, ხოლო 2022 წელს 303,791 ლარი.

16.3 სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ

კომპანიას ჰქონდა სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ 2023 წლის ბოლოს 180,617 ლარი, ხოლო 2022 წელს 182,189 ლარი.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

